კვირა, 22 ივლისი 1907 წ.

წელიწადი პირველი — № 159

გაზეთ «ისარი»-ს გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.
განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ. უკანასკ.—10 კ.
ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება «ისარი»-ს რედაქციასა და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე და საღამოს 5-დან 7-მდე.
რედაქციისა და კანტორის ადრესი: ელისაბედ. ქ. № 1.

# ისარი

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ინახავს ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილებით პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. რედაქტორთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11-დან ნაშუადღევის 3 საათამდე.
თითო ნომერი ყველგან 5 კაპ.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція «ИСАРИ»

დამწუხრებულნი **თეკლე ალექსანდრეს ასული, ნინო დავითის ასული, ნესტორ გიორგის ძე, ოლინკა ვასილის ასული, გიორგი, მიხეილ, ნინა და შალვა გარსევანის ძენი** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ პირველის ძვირფას მეუღლის, მეორეს შვილის, მესამეს ძმის, მეოთხეს მაზლის და უკანასკნელთა მამის გარდაცვალებას ხანგრძლივის ავადმყოფობის შემდეგ

გარსევან გიორგის ძის რატიანისას.

დასაფლავება დ. ხონში კვირას 22 ივლისს, მაცხოვრის ეკკლესიაში.
(2—218—2)

შაბათს, 28 ივლისს, სოფელ ქვემო-ნიქოზში გარდახდილი იქნება ნახევარ წლის წირვა განსვენებულის აქციზის მოხელის

ივანე ალექსის ძის საძაგლიშვილის

სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება თერთმეტ საათზედ. წირვის შემდეგ განსვენებულის საფლავზედ გადახდილი იქნება პანაშვიდი, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის და **ევდუსია ალექსის ასული კაპანაძისა**, სიძე მღვდელი **იოსებ კაპანაძე** და შვილები მათი **ნადო, მაშო, ჩიტო** და **ირაკლი**. (1—221—1)

**თავადი ყარამან, მეუღლე მისი ვერა და შვილი გიორგი ფალავეები** ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას: პირველი ორი—საყვარელ შვილის, მესამე—ძმის

ლევან ყარამანის ძის ფალავასას.

ტფილისში ცხედარს მოასვენებენ კვირას, 22 ივლისს, ნიკოლოზის ქუჩაზე, № 120. (1—6.—1)

**გრიგოლ დიასამიძე** აუწყებს ნათესავთ, მეგობართა და ნაცნობთ, რომ ამა მკათათვის 25-ს, საღამოს 6 საათზე, დაუვიწყარის მისი მეუღლის

სოფიოს, დიმიტრი ხიმშიაშვილის ასულის

საფლავზე (იოანნე ღვთისმეტყველის ეკკლესიის გალავანში ვერაზე) გარდახდილი იქნება პანაშვიდი. (2—223—1)

ამხ. „გეორგია"-სთან

შეამხანაგებით ამ მომავალ მარიამობისთვეში დაიწყებს მოქმედებას, ხელოვნურად შემზადებული მადნეულ-ხილეულის საუკეთესო წყლის ქარხანა

„მ. ლალაძე და ამხ."

ტფილისში, გოლოვინის პროსპექტზე, მანთაშევის (ყოფილი მუხრანსკის) სახლში. (3—222—1)

ტფ. წვრილ ვაჭართა საყურადღებოდ.

ტფილისის საბჭოს დარბაზში სამშაბათს, მკათათვის 24 რიცხვს, 1907 წ., დილის 10 საათზედ, მთავრობის ნებართვით დანიშნულია **ტფილისის წვრილ ვაჭართა საზოგადო კრება** ასარჩევად საზოგადოების კომიტეტისი, სარევიზიო კომისიის წევრებისა და მათის ნაცვლებისა. ვთხოვთ ყველა იმ, წვრილ მოვაჭრეებს, რომელნიც კი თანაუგრძნობენ ამ საზოგადოებას, უთუოდ დაესწრნენ კრებას.
(3—216—2) **საზოგადოების დამფუძნებელი წევრნი.**

კერძო სასწავლებელი პირველ ხარისხისა

(რეალურ-კლასიკური გიმნაზია)

ექვემდებარება საერო განათლების სამინისტროს

ვ. ა. და ვ. ს. ლევანდოვსკისა.

სასწავლებელი შესდგება სამ კლასიან **„მოსამზადებელ სკოლისაგან"** საბავშვო ბაღით, სამ კლასიან **„დასაწყისს სკოლისაგან"** და ხუთ კლასიან **„საშუალო სკოლისაგან"**.

✦ პანსიონი ვაჟებისათვის ✦

15 სექტემბრამდე მიიღებიან (განსაზღვრული რიცხვი) ვაჟები და ქალები „მოსამზადებელ სკოლაში".

1. სავალდებულოა პრაქტიკულად შესწავლა ფრანგული, გერმანული და ინგლისურ ენებისა; ვრცლად შესწავლა მათ. და საბუნებ. მეცნიერებათა; ადგილობრივ ენებისა, მუსიკისა და ხელოვების შესწავლა სავალდებულო არ არის.

2. ბავშვთა გონებისა, ხასიათის და ნების აღზრდა; ინდივიდუალობის განვითარება.

3. ჯანმრთელობის შენახვა და ფიზიკური განვითარება ბავშვებისა: გიმნასტიკა, ატლეტიური სათამაშოები, სპორტი, მუშაობა ინგლისურ და ამერიკულ სკოლების სისტემისამებრ და ექიმების მეთვალყურეობით.

ცნობებისათვის მსურველმა 15 აგვისტომდე უნდა მიმართოს ტეხნიჩესკი ქუჩაზე (დიდი მთავრის ქუჩის მახლობლად), ს. № 4. საქმე დღეებში 9-დან 11 ს. (10—6—2)

თვალის ექიმი
**ზ. მ. ცხვედაძე**
დორპატის უნივერსიტეტის კლინკაში ასისტენტად მყოფი, იღებს თვალით ავადმყოფებს ყოველდღე დილ. 9—1 ს. და საღ. 5—7. ვერა, ოლგას ქუჩა, № 31, სახლი სარაჯიშვილისა. (25—180—19)

ექიმი
**ე. ვაშაკიძე**
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილის 1—2 ს., საღამოობით 5—6 საათ., გარდა კვირა დღეებისა, კიროჩნის და ელისაბედის ქუჩების კუთხეზე, ბარამოვის სახლი, № 92. (წ.-უ—93)

ექიმი
**ა. ნ. დიასამიძე**
**კანისა და ვენერიული.** ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს დილით 9—10 ს. საღამოობით 6—8. ხუთშაბათსა და შაბათს დილით 9—10 ს. ყორღანოვის ქუჩა № 14.

კბილის ექიმი
**ალ. სოლოლაშვილი**
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათამდე და 5—7-მდე. გოლოვინის პროსპ. № 12. სახლი მდივნისა. (36)

კბილის ექიმი
**ნინო რცხილაძე**
იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი, —7 საათზე. ვერა, ოლგას ქუჩა, № 25. (0—141

ექიმი
**მ. ხ. მუსხელიშვილი**
მიიღებს თვალებით ავად-მყოფებს ყოველ დღე დილით 9—11½. კიროჩნი ქუჩა № 9. (თვ.)

სამკურნალო

**სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის**
ფასი რჩევისთვის 50 კაპ.
**ვანქის დიდი ქუჩა, № 3. ალექსანდრის ბაღის მახლობლად.**
ტელეფონი № 481.
ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 საათამდე.

**რუდინკო**—შინ. სნეულ. კვირა 3—4 ს. 2—3 ს.
**იანჩევსკი**—ყურ. ყელ. და ცხვ. ყოველ დღე 2—3 ს.
**ვნუკოვი**—ქირურ. ყოველ დღე 2—3 ს.
**უბლამქაროვი**—ქალისა და ბავშვისა, ყოველ დღე, 1—2 ს.
**გორბალევიჩი.** შინაგ. ყოველ დღე, 1—2 ს.
**თეთრაძე**—კან. და ვენერ. ყოველდღე 1—3 ს.
**ზოფოვსკი**—შინ. შთაგონ. ყოველდღე 4—5 ს.
**მონსე**—ბავშვ. სამშ., ხუთშ., შაბ. 4—5 ს.
**ექიმი ქალი ოზელიანი:**—ქალ. ორშ., ოთხ., პარ. და კვირ, 11—12 ს.
**პავლოვცკი**—ქირურგ. ყოველ დღე 12—1 ს.
**ნევშოროვა**—კბილისა, ყოველდღე 11—5 ს. კვირ. 11—2 ს.
**გოროდცევი**—მასსაჟი, ყოველ-დღე 11—4 ს.
**რიდელი**—სიფილ., კან., ვენ., ყოველ. 4—5 საათ.
**პივარნკი** კლინიკური ანალიზი.
**ჩუდნოვსკი** ნერ., სულ., გიპოზი ყოველდღე 4—5 ს.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძების და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. (100—6.—15)

ქუთაისში

ექიმი მაცლიუხოვი.

მიიღებს **შინაგან, სიფილისით, ვენერიულ** ავადმყოფებს და **ბავშვებს. ქიმიკო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი** ნახველისა, შარდისა, გონოკოვისა და სხვ. დილით 11—2 საათზე, საღამოთი 6—8 საათზე. სამხედრო საავადმყოფო, შესავალ პატარა ჭიშკარიდან. (60—ფოს.—49)

დ. ზესტაფონში

მთავრობის ნებართვით, კვირას 22 ივლისს 1907 წ. კავკასიის უძლეველის ფალავანის **ნესტორ ესებუას** თაოსნობით გაიმართება დიდი საინტერესო **ხუთი** ქართული **ჭიდაობა.** იჭიდავებენ: 1. ტფილისელი სახელოვანი ფალავანი მიხაკა ხურხული და ხაშურელი ალექსანდრე ხარატი. ამათში გამარჯვებული მიიღებს 25 მან. მეორე—სურამელი ილიკო ლაბაძე და ბელაგორელი დათიკო დეკანოიძე. გამარჯვებულს 15 მან. მესამე—ჭიათურელი ფალავანი ვანო რევიშვილი და ჭალელი მოჭიდავე სერგო ქალიაშვილი; გამარჯვებულს 15 მ. მეოთხე ზესტაფონელი მურმანიშვილი და შორაპნელი მოჭიდავე გ. ფუტკარაძე; გამარჯვებულს 10 მანეთი. მეხუთე—ზესტაფონელი კ. ჭიჭინაძე და ვ. კობახიძე, გამარჯვებულს 10 მან. ჭიდაობა დაიწყება ნაშუადღევის 5 საათზე. ჭიდაობის დროს დაუკრავს **ზურნა.**

აგრეთვე სწორ-უპოვარი ფალავანი ნ. ესებუა კავკასიის ყოველ კუთხიდან ითხოვს ყველა მსურველ მოჭიდავეებს საჭიდაოდ მისს საკუთარ გამართულ საჭიდაო მოედანზე **დ. ზესტაფონში** და **დ. ჭიათურაში.** ხოლო საჩუქრები ენიშნება გამარჯვებულებს 25, 50 და 100 მანეთამდე. მსურველთ შეუძლიათ გამოცხადდნენ დანიშნულ ადგილებში ნესტორ ესებუასთან. გამგე ჭიდაობისა **ნ. ესებუა.**
(1—219—1)

ქუთაისის გიმნაზია

ამით აცხადებს, რომ გამოსაცდელი ეგზამენები ახალ მოსწავლეთა მისაღებად მოსამზადებელ და პირველ კლასებში და აგრეთვე ხელმეორე გამოცდა მოხდება 21-დან 31 აგვისტომდე. დანარჩენ კლასებში ადგილი არ არის. თხოვნებისა და საჭირო ქაღალდების მიღება გათავდება 18 აგვისტოს. სწავლა დაიწყება 1 ენკენისთვეს.

გამოცდის დაწვრილებითი წეს-რიგის გაცნობა შეიძლება გიმნაზიის კანცელარიაში ამა წლის 1 აგვისტოდან. (3—5—3)

გამოვიდა და გადაეცა წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიას გასასყიდად
**არტურ შნიცლერის თხზულება**

„ფერხული"

ათი დიალოგი, ავტორის სურათით, თარგმანი **ია ეკალაძე-ცინცაძისა.**
წიგნის ფასი 30 კაპ., ვინც 150 ცალს იყიდის ნაღდ ფულზედ, დაეთმობა 30 პროცენტი, ვინც 100 ცალს—25 პროც., 50 ცალს—20 პრ. ამავე პირობით შეიძლება მიმართონ კიროჩნი ქუჩაზე. ს. ბერძნიშვილს, № 11. (6—6.—2)

თეატრი „ფუნიკულერი"

კვირას, 22 ივლისს, ქართულ დრამატიულ დასის არტისტების მიერ წარმოდგენილი იქნება

I

ადამ და ევა

კომედია 2 მოქმედებად დ. მესხისა.

II

სიდედრი მაია

ვოდევილი 1 მოქ. დ. ჩარკვიანისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი დ. ივანიძე, რიონელი და ბ-ნნი დ. ჩარკვიანი, შორაპნელი, ბოთლიევი, ჯაყელი და სხვანი.

ვინც წარმოდგენის ბილეთს შეიძენს, უფასოდ შეუძლიან ისარგებლოს ფუნიკულერზე ასვლა-ჩამოსვლით. ადგილების ფასი 50 კ. 1 მ. 50 კ. ბილეთები იყიდება ფუნიკულერის ქვეითა სადგურში, მხოლოდ წარმოდგენის დღეს.

დასაწყისი საღამოს 7½ საათზე. დასასრული 10½ საათზე. (1—უ—1)

დ. ჭიათურა

კვირას, 22 ივლისს, **დაბა ჭიათურაში** გაიმართება

სალიტერატურო დილა

**სპარსეთის ქართველების შესახებ.**

I. იაკ. ცინცაძე წაიკითხავს:
„ქართველების გადასახლება სპარსეთში შაჰ-აბაზის დროს და ლ. აღნიაშვილის მოგზაურობა სპარსეთის ქართულ სოფლებში".

II. უფლამ-ჰუსეინ ონიკაშვილი:
„სპარსეთის ქართველები და მათი ყოფა-ცხოვრება".

დასაწყისი დილის 12 საათზე. ბილეთები 1 მ.-დან 20 კაპეიკამდე.

## ტფილისი, 22 ივლისი.

საარჩევნო კომპანიის პირველი ხანა თითქმის მთელს რუსეთში დასრულდა: სიები დამზადდა და ბევრგან კიდეც გამოქვეყნდა. უკვე ამ ხანამ გამოარკვია და გამოამჟღავნა ერთ-ერთი შედეგი 3 ივნისის საარჩევნო კანონისა; სახელდობრ — ამრჩეველთა რიცხვის შემცირება. რამდენად ძლიერია ეს შემცირება, ჯერ სავსებით გამოანგარიშებული არაა, რადგან სიები ჯერ ყველგან არ გამოუქვეყნებიათ; მაგრამ პირველი ცნობებიც გვიმტკიცებენ, რომ 3 ივნისის კანონმა ამ მხრით ერთობ დიდი ცვლილება შეიტანა ხალხის პოლიტიკურ უფლების მდგომარეობაში. საკმარისია მოვიყვანოთ გაზეთ „რეჩ"-ის შემდეგი ანგარიში, რომელიც რუსეთის 25 ქალაქს შეეხება: შარშანდელ არჩევნების წინ ამ ქალაქებში სულ 117.800 კაცი ყოფილა შეტანილი სიებში; ეხლა, ახალის კანონის ძალით, სიებში დარჩა მხოლოდ 73.790 კაცი, ე. ი. შემცირდა ერთი მესამედით (37-%-ზე მეტით)! თუ ამას მიუმატებთ სოფლის ამრჩევლებთა რიცხვის შემცირებას, გაზვიადებული არ იქნება ვთქვათ, რომ წინანდელთან შედარებით რუსეთის მოქალაქეთა 40%-მა დაჰკარგა პოლიტიკური უფლება, 17 ოქტომბერს მოპოვებული. ჩვენ აქ ვანგარიშობთ შარშანდელს დაკარგვასაც სენატის ცნობილ „განმარტებათა" მეოხებით... ამ ფაქტს კომენტარიები არ სჭირია: ყველასათვის ცხადია, რა ჰსურს ბიუროკრატიას ამ საშუალებით გაარიგოს, რადგან ნაჩვენები შემცირება სავსებით დემოკრატიულად განწყობილ ელემენტებს შეეხება.

რიგით ეხლა საარჩევნო კამპანიის მეორე ხანა უნდა დაიწყოს, ე. ი. წინასწარი კრებები და საარჩევნო აგიტაცია. არჩევნების დაწყებამდე ერთი თვე-ღა დარჩა და ამ ცოტა ხანში ამრჩევლები ვერც-კი მოასწრებენ კანდიდატების დასახელებას, ერთმანეთში მოლაპარაკებას, შეთანხმებას, ერთი სიტყვით, ყველა იმას, რაც აუცილებლად საჭიროა ყოველ არჩევნებისთვის. ესეთს მზადებას უპირველესი მნიშვნელობა აქვს ძველ საკონსტიტუციო ქვეყნებშიაც, სადაც ხალხი შედარებით მაღლა სდგას პოლიტიკურის განვითარებით. რუსეთში-კი უამისოდ, ესე იგი, თუ ფართო და ენერგიული აგიტაცია არ იქმნა, წარმოუდგენელია, რომ მთელმა მასსამ შესძლოს და წესიერად, ნაყოფიერად ისარგებლოს თავის პოლიტიკურის უფლებით. მაგრამ, წინა არჩევნების მაგალითებმა საკმაოდ გვასწავლეს, რომ მთავრობას სრულებითაც არ აინტერესებს, როგორ ისარგებლებს ხალხი საარჩევნო უფლებით. პირიქით, იგი სულ იმის ცდაშია, რომ ამრჩევლებს სრულიადაც არ ჰქონდეთ წინასწარი მზადება. მარტო ეს ფაქტი სავსებით გვისურათებს თანამედროვე რეაქციის შესანიშნავ სისუსტესა და სიღატაკეს. მთავრობას მართლა რომ ჰქონდეს „ჭეშმარიტ რუსებისა" ან ოქტომბრისტების იმედი, განა იქნებოდა საარჩევნო ბრძოლის წინააღმდეგი? რიღასი ეშინია: ხომ წაართვა ხალხს უფლება, ხომ დაულოცა გზა თავად-აზნაურობასა და მსხვილ ბურჟუაზიას, ხომ ეს ელემენტები სჭარბობენ საარჩევნო ასპარეზზე? მაგრამ საქმეც ის არის, რომ მთავრობას ამ ელემენტების იმედიც არა აქვს და იცის, რომ თავისუფალი აგიტაცია უთუოდ შეჰქმნის მძლავრ ოპოზიციონურს ატმოსფერას, რომელიც ერთ წუთში დაუკარგავს ძალას შავრაზმელთა უნიჭო და დაბრმავებულ ბანაკს. ამიტომ, ცხადია, წელსაც მეორე ხანა საარჩევნო ბრძოლისა ისე ჩაივლის, როგორც მეორე სათათბიროს არჩევნების წინ: პეტერბურგსა და მოსკოვს ძლივს-ძლივობით გაიმართება რამდენიმე კრება ბოქაულების დასწრებით, ხოლო პროვინციაში სრული თავისუფლება მიენიჭება „ჭეშმარიტ რუსებს", დანარჩენებს-კი კრინტსაც არ დააძრევინებენ.

აღსანიშნავია, რომ ამ გარემოებას წელს უფრო ცუდი შედეგი მოჰყვება, ვიდრე წინად. წინა არჩევნების დროს რუსეთის საზოგადოება და ხალხი იმდენად გატაცებული იყო განმათავისუფლებელ მოძრაობით, ისე აღფრთოვანებულად სწამდათ სათათბიროს ძლიერება, რომ დიდი აგიტაცია საჭიროც არ იყო. გაიხსენეთ, რომ პირველ არჩევნებს უკიდურესმა პარტიებმა ბოიკოტიც-კი გამოუცხადეს. ბოლოს მაინც, მიუხედავად იმისა, რომ წინასწარი მზადება მთავრობისაგან შეზღუდული იყო და მემარცხენენიც არ იღებდნენ მონაწილეობას, ხალხმა მაინც ოპოზიციონური წარმომადგენლობა აირჩია. ახლა-კი სხვა სურათი გვეშლება თვალწინ. ყოველ მხრიდან მოდის ცნობები, რომ ბრძოლით დაღლილი ხალხი უგულოდ უცქერის მომავალ არჩევნებს: ყველგან ერთობ მცირე რიცხვს გამოუცხადებია სურვილი არჩევნებში მონაწილების მიღებისა. ასეთ პირობებში საარჩევნო აგიტაციის აკრძალვა უეჭველად ვნებას მოუტანს ოპოზიციას.

ამრიგად, პირველი და მეორე ხანა მომავალ პოლიტიკურ არჩევნებისა ცუდად ეწყობა ოპოზიციისათვის. მაგრამ ესეც ცოტაა: აღსანიშნავია ისიც, რომ მესამე ხანისათვის, ე. ი. თვით არჩევნებისათვისაც, ცუდი ნიშნები სჩანს. საქმე ისაა, რომ სარევოლიუციო პარტიები ჯერაც ვერ გამოსულან გამოურკვეველ მდგომარეობიდან, აქამდის ყოყმანი აქვთ—მიიღონ თუ არა მონაწილეობა არჩევნებში. ჩვენ უკვე გამოვთქვით ჩვენი აზრი ბოიკოტის ტაქტიკის შესახებ და აქ აღარ გავიმეორებთ ყველა მოსაზრებათ; ვიტყვით მხოლოდ, რომ ეს ტაქტიკა შეცდომად მიგვაჩნია და დარწმუნებული ვართ, რომ სოც. პარტიები ამ შეცდომას აღარ განიმეორებენ. რაც უნდა იყოს,

ხალხი მაინც მივა საარჩევნო ყუთებთან და პარტიებს არ შეუძლიანთ ამის დაშლა; მთავრობა, მაშასადამე, მაინც აარჩევინებს 400 დეპუტატს და არ გვესმის, რა საჭიროა მთავრობის განზრახვებისათვის ხელის შეწყობა?! პირიქით, ყოველი ღონე უნდა იქმნას მიღებული, რომ **ახლაც,** საარჩევნო კანონის შეცვლის შემდეგაც, ქვეყანამ ოპოზიცია გაუგზავნოს მთავრობას. თუნდაც რომ ეს ოპოზიცია ისეთი მრავალრიცხოვანი არ იყოს, როგორიც პირველსა და მეორე სათათბიროში იყო, მაინც თავის დანიშნულებას აასრულებს. ქვეყანას, ხალხს, ნაკლებად შეგნებულსა და ჯერ მოუმზადებელს მასსას, პარლამენტის ტრიბუნიდან უთუოდ უნდა ესმოდეს ოპოზიციის ძლიერი ხმაც; ეს ბევრად გაუადვილებს ამ პარტიებს პარლამენტის გარეშე მოქმედებასაც... როგორც უკანასკნელ ცნობებიდან სჩანს, სოც. პარტიებში ბოლოს დროს სჭარბობს მონაწილეობის მომხრეთა რიცხვი და ბოიკოტის ტაქტიკას გასავალი იმდენად აღარ აქვს. თუ ასეა, სჯობს დაუყოვნებლივ მიღებულ იქმნას გადაწყვეტილება, თორემ დრო მიდის და საარჩევნო კამპანია უფრო და უფრო ძნელდება.

## ახალი ამბავი

✦ **ჩხრეკა.** გუშინ, 21 ივლის, დილით ქალაქში დიდი ჩხრეკა იყო. ჩხრეკა იყო კუკიასა, დიდუბესა, ნაძალადევსა და სადგურის ახლო-მახლო ადგილებში. სჩხრეკავდნენ როგორც სახლებს, ისე ქუჩებში გამვლელ-გამომვლელთ. სხვათა შორის გაჩხრიკეს საბალოსნო სასწავლებელი, მეორედ „იდეალის" სტამბა და სხვა. დ აპატიმრეს ასზე მეტი კაცი. აპატიმრებდნენ უფრო იმათ, ვისაც პასპორტები არა აქვთ და ან უადგილოდ იყვნენ. ბევრი გუშინვე გაანთავისუფლეს.

✦ **მუშების დაპატიმრება.** 20 ივლისს პოლიციამ დააპატიმრა საუფლისწულო სარდაფის მუშები ტ. ავანაძე, ვ. ბიძინაშვილი, ნ. შახნარუმოვი, ნ. ანავაძე და ტ. ტვაური.

✦ **მასწავლებლის ბუქურაულის დაპატიმრება.** როგორც გვატყობინებენ, ალექსანდროპოლში დაუპატიმრებიათ ტფილისის სავაჭრო სკოლის მასწავლებელი ივანე ბუქურაული. ბუქურაული ამას წინად ყარსის გზით გაემგზავრა თრიალეთისკენ, სადაც იმის ძმებს ცხვარი ჰყავთ. იქ აპირებდა რამდენსამე ხანს დარჩენას და მერე დაბრუნებას თავის სამშობლო სოფელში თუშეთს. მაგრამ გზაში ავად გახდა და სამი-ოთხი დღით ალექსანდროპოლში ერთ სასტუმროში ჩამოხტა. სწორედ ამ დროს მოჰკლეს გენერალი ალიხანოვი. დაჩხრიკეს ქართველების ბინები და, სხვათა შორის, ის ნომერიც, სადაც ბუქურაული იყო დაბინავებული. თუმცა ვერაფერი უპოვნეს, მაგრამ მაინც დააპატიმრეს, და დღემდის ავადმყოფი ბუქურაული დაპატიმრებულია.

✦ **სამკურნალო მაჰმადიანთათვის.** 20 ივლისს აკურთხეს და გახსნეს ვორონცოვის ქუჩაზე სპარსეთის საქველმოქმედო საზოგადოების ხარჯით დაარსებული მაჰმადიანთა სამკურნალო.

✦ **დაკეტილ სადგომების გაღება.** გააღეს ტფ. გენ.-გუბერნატორის განკარგულებით დაბეჭდილი სადგომები გაზ. „პაილაკის" და „დილის" რედაქციების.

✦ **მეკუბოვეს მოკვლა.** 20 ივლისს საღამოთი იარალოვის ქუჩისა და ავჭალის მოედნის შესართავთან ვიღაცეები შეუვარდნენ მეკუბოვეს იოსებ სადაგაშვილს, რამდენჯერმე რევოლვერი დაახალეს და იქვე მოჰკლეს. მოკლულს რამდენსამე დღის წინად სახლობისთვის უთქვამს, მოკვლას მიპირობენო, მაგრამ ის-კი არ გაუცხადებია—ვინ და რისთვის.

✦ **ალლუმი.** 15 აგვისტოდან 5 სექტემბრამდე ტფილისის მახლობლად გაიმართება დიდი ალლუმები.

✦ **სოლოლაკის გვირაბი.** სოლოლაკის გვირაბის მთხრელებს ნება მიეცათ განაგრძონ თხრა. მხოლოდ ყოველ აფეთქების წინ პოლიციას უნდა აცნობონ ხოლმე.

✦ **ახალი პროფესიონალური კავშირი.** ტფილისში დაარსდა ახალი პროფესიონალური კავშირი საზანდრებისა, კავშირს მიეხრო ორმოცამდე საზანდარი.

✦ **რუსეთში გადაყვანა.** „ზ. კ."-ს ცნობით გურია-სამეგრელოს სამრევლო საეპარქიო სკოლების მეთვალყურე ვასილიევი, თავის თხოვნის თანახმად, შიდა რუსეთში გადაჰყავთ.

✦ **ტფ. გენ. გუბერნატორის განკარგულებანი.** ტფ. გუბერნიაში ცხოვრება აეკრძალათ ვლ. ლებედინსკის და ს. ფაინს სამის თვით დააპატიმრეს თიანეთის მცხოვრებნი ვასილ და ივანე ჩივძენი და ბალო დემეტრაშვილი, რომელთაც ყაჩაღების დაფარვა ჰბრალდებათ. ორის თვით დააპატიმრეს გიორგი წმინდის მცხოვრები ნიკოლოზ ბეკიშვილი, რომელსაც რევოლვერი და პატრონები აღმოაჩნდა.

✦ **ახალი საზოგადოებანი.** ტფ. საგუბერნიო მთავრობამ დაამტკიცა წესდება „სომხურ მასწავლებელთა საზოგადოებისა კავკასიაში". ამავე საგუბერნიო მთავრობამ არ დააკანონა „საზოგადოება ბეჭდვითი სიტყვის მუშაკებისა კავკასიაში" და „პოლონური სახლი ტფილისში".

✦ **ხონის სემინარია.** ხონის სემინარიის დირექტორმა ალ. ჭეჭინაძემ შუამდგომლობა აღძრა სამოსწავლო მთავრობის წინაშე, რომ ხონის სემინარიაში ქართულის ენისა და სამშობლო ქვეყნის შესწავლის პროგრამა გაფართოვდეს. ამ ჟამად, ჭეჭინაძისავე მეცადინეობით, ხონის სემინარიას აფართოვებენ და აახლებენ იმ ანგარიშით, რომ მეტი მოსწავლე მიიღონ. წელს სემინარიაში სწავლა დაასრულა 12 კაცმა, ყველანი ქართველები არიან.

✦ **აბანოები.** კავკასიის სამთო სამართველომ სთხოვა ტფ. ქალაქის გამგეობას დახმარება აბანოების დასაცველ ადგილების შემოვლასა და შემოწმებაში. სამართველოს აზრით ჯერ ჯერობით საკმაო იქნება 100 მან. და რამდენისამე ისეთ კაცის დახმარება, რომელთაც იციან აბანოების საქმე. გამგეობამ დახმარება უნდა გაუწიოს ინჟინერებს კოტაშევსკის და კარნიცკის.

✦ **გაქცევის დაპირება.** გორიდან „ზაკ."-ს ატყობინებენ: ადგილობრივ ციხეში აღმოუჩენიათ ორგან გაჭრილი იატაკი და თითქმის მთლად განგრეული კედელი. დარაჯს რომ არ შეენიშნა, პატიმრები გაიქცეოდნენ.

✦ **ღვინო სახაზინო დუქნებში.** ფინანსთა სამინისტროს ნება დაურთავს სახაზინო არყის დუქნებისათვის, გაჰყიდონ კერძო ფირმების ღვინო. ამის გამო იაროსლავის საქციზო დაწესებულების მართველი სთხოვს კავ. სასოფლო სამეურნეო საზოგადოებას, აცნობოს კავკასიის რომელ ფირმებს შეიძლება მიეცეს ნება თავიანთი ღვინო სახაზინო დუქნების შემწეობით გაჰყიდონ. ღვინო ბუნებრივი უნდა იყოს.

✦ 20 ივლისს, ნაშუადღევის 4 საათზედ, გადაცმულმა პოლიციელებმა დააპატიმრეს გარეგინ ბაგინოვი და არტაშეს მელიქ-ბაღდასაროვი, რომელთაც სერგო ალიხანოვისათვის უსახელო ბარათი გამოუგზავნიათ და 100 მან. მოუთხოვნიათ. ალიხანოვს ფული ვერის დიდმარტოზე უნდა მიეტანა. ალიხანოვს ეს პოლიციისთვის უცნობებია და მოხერხებით „შანტაჟისტები" დაუჭერინებია. ერთი დაპატიმრებული ბაღდასაროვი აბრამიანის საზუდალტერო კურსების მოსწავლე აღმოჩნდა, იგი გამოტყდა და განაცხადა კურსების პატრონმა სწავლის ფულისათვის გამოაგდო და ამის გამო მოვინდომე ფულის შოვნაო.

✦ ამ დღეებში ტფილისში 10—12 კაცისაგან შესდგა წრე, რომელმაც სტიპენდია დაუნიშნა სოლო უაზნიშვილს. უაზნიშვილს მშვენიერი ხმა აქვს. იგი მიემგზავრება იტალიაში.

✦ ტფილისის სასულიერო სემინარიის მასწავლებელი მღვდელ-მონაზონი სერგეი დაინიშნა ამავე სემინარიის ინსპექტორად.

✦ იბეჭდება და მალე გასასყიდათ მზათ იქნება: ქართული წერის სედანი და სახატავი ნიმუშები (მეორე გამოცემა) შედგენილი სამსონ დათეშიძის მიერ.

✦ პოლიციელებმა 20 ივლისს დააპატიმრეს კოვნოს გუბერნიის მცხოვრები მატრონა კორნილოვი, რომელსაც იუსუფ ოღლისთვის 77 მანეთის ნივთები მოუპარავს.

✦ 20 ივლისს მიხეილ კარნაუხოვის სახლიდან ანდრეევის ქუჩაზე მოიპარეს 2000 მანეთის ნივთები.

✦ გვთხოვენ დავბეჭდოთ: „უღრმეს მადლობას უცხადებთ შემდეგ პირთ, რომელთაც დახმარება აღმოუჩინეს უმუშევართა კავშირს: ტფილისის სახელოსნო «სბორნი» ცეხიდან—27 მან. 75 კაპ. ტექლერაზმამემ და დანდუროვმა 14 მან., ვეტცელმა 5 მ., კერესელიძემ—1 მან. ტფ. უმუშევართა კავშირის აღმასრულებელ კომისიის წევრი სამსონ ჯიმამტარიშველი.

✦ 18 ივლისს გიორგის ქუჩის № 5 სახლის მეეზოვე გრიგოლ ბეგოდიანცი სადღაც მიიმალა. 20 ივლისს დაკარგულის ძმამ პოლიციას გამოუცხადა, რომ ჩემი ძმა სოღანლუღში ვნახე მოკლულიო.

## ქუთაისის ქრონიკა

✦ რუსთა კურიის სია უკვე მზად არის და ამ თვის დამლევს გამოჰკიდებენ ქალაქის გამგეობაში. ამრჩეველთა რიცხვი 1000 კაცს აღემატება, რადგან რუსებს მინიჭებული აქვთ უფლება, რამდენი გადასახადიც უნდა შეჰქონდეთ ხაზინაში, მონაწილეობა მიიღონ არჩევნებში. რუსთა კურიაში მოიქცა სხვათა შორის გიორგი ზდანოვიჩი.

✦ ქალაქის გამგეობის საქმეთა რევიზია, რომელიც გამოწვეულია თურმე „დანოსებით", ვითომ გამგეობამ ფული გაფლანგა, უკვე დამთავრდა. რევიზიას არავითარი ბოროტმოქმედება არ აღმოუჩენია აწინდელ გამგეობის მოქმედებაში და ამ სახით წარდგენილი იქნება რევიზორის მოხსენება გუბერნატორთან. რევიზორს გოციძეს აღმოუჩენია წინანდელ კასირის მოქმედებაში ფულის გაფლანგვა და ეს გარემოება აღუნიშნავს თავის მოხსენებაში.

✦ დღე ისე არ გაივლის, რომ შავი ქვის მრეწველებმა ბედი არ იწყევლონ იმის გამო, რომ რკინის გზის გამგეობას საკმაო რიცხვი ვაგონებისა არა აქვს. მრეწველნი ვერა გზავნიან საკმაო მადანს საჭიროება ვაგონებისა ისეთი დიდია, რომ ვაგონებს უფრო მეტი ფასი აქვს, ვიდრე თვით მადანს. ხშირია ისეთი შემთხვევა, როცა ერთ ვაგონში პრემიად 100 მანეთსა და მეტს აძლევენ. ამის გამო ფულს მრეწველი კი არა, ვაგონების მქონებელი ჰბეჩლობს. როცა წარსულ კრებაზე გავრცელდა ხმა, ვითომ გზათა სამინისტრო ერთ ჯგუფ მრეწველებსას დაწესებულ რიგის გარეშე აძლევს დღეში 30 ვაგონს რუსეთის ქარხნებში მადნის გასაგზავნადო, კრებამ ერთ-ხმად დაადგინა, გაეგზავნოს გზათა მინისტრთან დეპეშა და ითხოვოს, ასეთი უპირატესობა ნურავის მიეცემა, მით უმეტესად, იგი ანიჭებს (თითო ვაგონის ფასი 100 მან. რომ ვიანგარიშოთ) ბედნიერ მრეწველთა 30 ვაგონზე თვიურად 90.000 მანეთს. მიუხედავად ასეთ შუამდგომლობისა, ინჟინერ ჩერნევსკისათვის მიუციათ ყოველ თვიურად 30 ვაგონი რიგის გარეშე და ამნაირად დანარჩენი მრეწველნი პირში ჩალაგამოვლებულნი დარჩნენ.

✦ თან და თან ირკვევა, რომ მ. შველიძის სიკვდილის მიზეზი უიმედო სიყვარული ყოფილა. განსვენებული ცდილა ქუთაისიდან წასვლას და რომ ვერ მოუხერხებია, უიმედობას მისცემია და თავი მოუკლავს.

✦ 19 ივლისს შუადღისას ბულვარის მახლობლად, როცა კირაკოზოვის ნოქარს მაღაზიიდან აზოვ-დონის ბანკში ფული მიჰქონდა, თავს სამი კაცი დასხმია და მუქარით ფული მოუთხოვნია, შეშინებულ ნოქარს ჯერ ერთი ნაწილი ფულისა მიუცია და როცა ძალა დაუტანებიათ—დანარჩენიც გადაუცია. სულ წაუღიათ 1300 მანეთი.

✦ საადგილ-მამულო ბანკის გამგეობა და ზედამხედველი კომიტეტი უკანასკნელ კრების შემდეგ ცდილობენ მოაწესრიგონ ბანკზე დარჩენილი სოფლის მამულების საქმე. ამისათვის ცნობაში მოჰყავთ დარჩენილი მამულები და სცა შესაძლებელი ხდება, კიდევაც ჰყიდიან. ისეთ მემამულეების წინააღმდეგ, რომელნიც მამულებს თავს არ ანებებენ, საჩივარს აღძრავენ მათ გასაძევებლად.

მესესხებელთაგან ფული უკანასკნელ ხანებში ბანკს რიგიანად შემოსდის ისე, რომ კუპონები მიმდინარე ივლისისა დაუბრკოლებლად გაანაღდა.

## პატარა ფელეტონი

ზოგიერთ ნასოციალისტარს.

ტანჯული ხალხის სახელით
ყურებს გვიჭედდი ერთ დროსა
და თურმე ამ გზით ეძებდი
ფილ კუნჭულ-საბინადროსა.
იშოვნე,—ფეხით გასთელე
მაშვრალთა წმინდა მცნებანი
და მით ცხად-ჰყავ საქვეყნოდ
ჭირადი მისწრაფებანი.
ჯერ კიდევ გუშინ შენც რაღა
„სოციალობდი", წვალობდი,

## ფელეტონი

### სიმღერა.

შავ-ბნელი და ეკლიანი
ეს—ჩვენი გზა სავალია,
ბევრს უვლია მასზედ წინად,
ბევრიც უკან მავალია.
სამძიმოა?.. მაინც კიდევ
მოძმეთ ანდერძს მე ვერ გავტეხ,
სავაგლახო ლობე ყორეს [ტეხ!..
წერაქვს დავკრავ,—ერთ პწკალს ავმეტს არ ვითხოვ, თუ ვერ შევძლებ,
სანუგეშოდ ესეც კმარა;
აწ-მყო თუ რომ გულს დაგვიკოდს,
მომავალი არ მომკვდარა.
სხვა მოგვყვება, ისიც მასთან,
ვინც სიარულს დღეს ვერ ჰბედავს
და ჩვენს ნაწრთობს ფოლად მახვილს
მტკიცე კლავით გამოსჭედავს!..
ასე არის, მუდამ საქმე
ცდა-სიმხნევით გაჩარხულა,
იქ მოუმკავთ ჭირნახული,
სად ნათესი დაფარცხულა.
დღემდის გულ-ხელ დაკრეფილებს
რა მოგვსვლია უქმის დგომით?..
სადაც ძალა დაფარფაშებს,
იქ გავიტანთ ლელოს ომით!..
სამძიმოა?.. იმას ვაქებ, [ძვის,
ვინც რომ ბოროტს მედგრად ებრთორემ ლხინსა უჭირ-ვარმოდ
თვით ლაჩარიც გულით ელტვის.
ამიტომაც მოძმეთ ანდერძს
წტკაცედ მივსდევ, მას ვერ გავტეხ,
სავაგლახო ლობე-ყორეს [ტეხ!..
მეც კვერს დავკრავ და პწკალს ავ-

**ხოდ. გ—ძე.**

## სიმღერა

**ძველი ლეგენდა**

(თარგმანი)

ძველად, ძლიერ ძველად, აღმოსავლეთში სცხოვრობდა ხალიფი. იგი იყო ძალზე მკაცრი, სასტიკი და მეტის-მეტად ავიწროებდა თავის ქვეშევრდომთ.

ერთხელ როგორღაც, ხალიფმა გაიფიქრა, შეჰკითხებოდა ბრძნებს, თუ რამდენი ხნის სიცოცხლე მიანიჭა ამ ქვეყნად მას ალლაჰმა... დიდხანს ათვალიერეს ცის კამარა ბრძენმა მოგვებმა, დიდხანსა სძებნეს ვარსკვლავთა-შორის ხალიფის ბედ-იღბალი და ბოლოს, როგორც იყო, ნახეს თვით ალლაჰის წინასწარმეტყველობა ხალიფის სვე-ბედის შესახებ.

— რა წამს შემოგესმება ხალხის თავისუფალი სიმღერა, იცოდე, დაჰკრავს შენი ცხოვრების უკანასკნელი საათი,—ასე გადასცეს ბრძენმა მოგვებმა ხალიფს ზეციური პასუხი.

ამგვარმა წინასწარმეტყველობამ ძლიერ დააფიქრა ხალიფი. გადასწყვიტა არცერთხელ არ გაეგონა სიმღერის ხმა მთელს თავის სამფლობელოში. მოუწოდა ერთგულ მხედართ და უბრძანა, დაევლოთ მთელი სახელმწიფო და ყური ეგდოთ, მღერის თუ არა ხალხი, და თუ მღერის —ყოველივე ზომა მიეღოთ, სასტიკათ აეკრძალათ...

ბრძანებისთანავე გაემგზავრნენ ხალიფის სურვილის აღსასრულებლად ერთგულნი შინაყმანნი და მყისვე მთელს საბრძანებელში გაისმა გულ-შემზარავი კვნესა-ტირილი.

ხალიფი გამხიარულდა. მთელის დღეობით მოუშორებოდა ხოლმე ფანჯარას და სიამოვნებით უგდებდა ყურს ხალხის მწარე კვნესას, რომელიც იმის სმენამდის აღწევდა...

გრძნობდა ხალიფი, რომ იგი მეტად ძლიერი იყო, რომ ბლომადა ყავდა ერთგულნი ყმანი, რომელნიც ნებას არ მისცემენ არც ერთ სიმღერის ხმას მიეღწია ხალიფის ყურამდე...

— მე არ მოვკვდები, ვიცოცხლებ მუდამ!—თავ-დავიწყებითა და რწმენით ამბობდა იგი.

ხალხი კვნესოდა. ჰაერში სტვენა-შხუილი გაჰქონდა მოქნეულ მათრახებს, რომელსაც შეუბრალებლად ათამაშებდნენ ადამიანთა მოღლილ ზურგზე. სისხლით ირწყებოდა მიდამო.

ხალიფს მოახსენეს, რომ ერთ ქალაქში გადასწყვიტეს სიმღერის მოწყობაო. განრისხდა მკაცრი ხალიფი, შეჰყარა მხედართა მთელი ამალა და უბრძანა, ქვა-ქვაზედ აღარ დაეტოვებინა ხსენებულ ქალაქში. ბრძანება მყისვე შესრულებულ იქმნა...

ხალხს ცოცხლად აძრობდნენ ტყავს, ჰაერი გაიღენთა უბედურთა ოხვრა-კვნესით. მხედრები კი სტკბებოდნენ. ისინი თავისუფლად თარეშობდნენ სამეფოში, სწვავდნენ სოფლებს, დაბებსა და ქალაქებს, ყოველ ფეხის გადადგმაზე ხოცავდნენ უპატრონო ხალხს. გადამწვარ მიდამოთა ცეცხლის ალმა წითლად შეღება განიერი ცა, სისხლით გაწითლდა დედამიწა...

—

ერთხელ ფანჯარასთან იჯდა ხალიფი, ხალხთა საშინელი კვნესა ესმოდა და მეტის-მეტად მხიარულობდა...

— მე არ მოვკვდები, ვიცოცხლებ მუდამ!—იმეორებდა ის თავისთვის.

უცებ მწარე კვნესა-ტირილი გაარღვია ახალმა, არა-ჩვეულებრივმა ხმამ და რაღაც მწვავე, ბასრ მახვილივით ჩაეჭდო ხალიფს გულის სიღრმეში. მან დაიწივლა ტკივილებისაგან... რას ნიშნავს ეს? რა ხმა უნდა მესმოდეს ამ ქვეყნად, თუ არ ოხვრა-კვნესისა? განა ეს სიმღერა არ არის?!! თავზარ დაცემული ხალიფი სმენად გადაიქცა, მაგრამ ადარავითარი ხმა, გარდა ხალხთა ოხვრა-კვნესისა, აღარ ეკარებოდა იმის სმენას.

— არა, მხოლოდ ისე, მომელანდა!—გაიფიქრა და, დარწმუნდა რა, რომ ირგვლივ მხოლოდ კვნესა-ტირილი ისმოდა, ნიშნად კმაყოფილებისა, გაიღიმა.

გაიღიმა, მაგრამ ეს ღიმილი უცებ გაუქრა შიშისაგან კვლავ რაღაც მკრთალი, სუსტი, ოხვრა-კვნესაში გახვეული ხმა მოხვდა იმის სმენას... ხმა, მაგრამ არა ველური-მგრგვინავი, არცა მკვნესარე, არამედ—შორეული, თუმცა სუსტი, მთრთოლარე, მაგრამ საუცხოვო, დიდებული... ოხვრა-კვნესამ კვლავ შებოჭა და ჩაჰფარა ეს ხმა და ისიც ტკბილი, წყნარი და ჰარმონიული დაიქსაქსა და განიფანტა მათ შორის... ხალიფი იჯდა გაქვავებული... ნუთუ იწყება ცოცხალი, თავისუფალი სიმღერა, რომელიც მოსპობს, მიაყუჩებს ხალხთა ოხვრა-კვნესას და საშინელ შურისმძიებლის რქას ითამაშებს—დასჯის მას უდანაშაულო სისხლისათვის? თავზარ დაცემული ხალიფი გულის ფანცქალით აკვირდებოდა ოხვრა-კვნესას, მაგრამ მისი გაბრუებული სმენა ვეღარ არჩევდა, ვეღარ იჭერდა კვლავად ამ უცნობ, საიდუმლო ხმას და ხალიფიც კვლავ მშვიდდებოდა.

— არა, მე ჯერ კიდევ ძლიერი ვარ!—თავ-დავიწყებულის სიამაყით ამბობდა თავისთვის ხალიფი,—მე კიდევ დიდხანს გავატარებ ამ ცხოვრებას ისე, რომ არავითარ სიმღერის ხმას ვერ გავიგონებ!...

მაგრამ ღრუბელი, შავი, მრისხანე ღრუბელი გადაეკრა დედამიწას... ჩამოშენელებული, ოხვრა-კვნესისაგან გაჟღენთილი ღრუბელი მძიმედ ჩამოაწვა მიდამოს, თითქოს სისხლის მსმელ ხალიფს სამკვდრო-სასიცოცხლოდ ემუქრებაო...

და მას შემოესმა სიმღერა...

იგი სუსტის, მკრთალის ღილინით შეეხო ხალიფის სმენას, შეეხო, მაგრამ ისე კი—რომ კვლავ აღარ ჩაჩუმებულიყო, შეეხო საგრძნობელად, ხანგრძლივად, საბოლოოდ...

—

ნეტარებით აღსავსე ხალიფი მოსვენებით იჯდა ფანჯარასთან. ამაყად, კმაყოფილებით გადასცქეროდა თავის სამფლობელოს და სტკბებოდა ნახევრად დანგრეულ სახლებისა, ხალხთა სისხლით შეღებილ დედამიწისა და ცეცხლის ალმურის ცქერით, რომელიც საშინლად იკლაკნებოდა, ცას ეტორტმანებოდა, თავგანწირვით იტყორცნებოდა თავის წითელ ტალღებს და ისრებივით მსჭვალავდა შავ, ტყვისფერ ღრუბლებს, რომელნიც ციურ რისხვასა და წყევაკრულვასავით მკაცრად ჩამოსწოლოდა ხალიფის სასახლეს...

და უცებ დაინახა, რომ სასახლის წინ —მოედანზე იკრიბებოდნენ მისი ქვეშევრდომნი...- ისინი, გასვრილ-გამურულნი, გასისხლიანებულნი და დაჭრილ-დაფლეთილნი მიდიოდნენ ყოველის მხრიდან... საცოდავი, საბრალო ხვეწნა-მუდარა იხატებოდა მათ თვალებში... გამხდარი, თავიანთ სისხლშივე მოსვრილი, შიშისაგან გაფითრებულნი პირისახეები მიაპყრეს იმათ სასახლეს. ჩამომდნარ ხე-

„ქონდრის კაცთ რაზმში“ ეწერე,
„მარსელიეზას“ გალობდი...
„ერთად ერთ“ წმინდა დოგმასა
უქმევდი, აღიარებდი,
ჩაგრულ-მაშვრალთა სახელით
სამშობლოს ასამარებდი!..
დღეს კი ის ერთიც უარ ჰყავ,
თვით აიხადე პირბადე
და მაშვრალს შორი მჩაგვრელთა
ერთად შენც გამოეცხადე!
ჯერ განახლებას გვიქადდი,
დაჰრიქინ-კალიაობდი,
მაგრამ შესტოპე თუ არა—
შენ სხვებზე უმალ დაობდი!..
მაგრამ რას ვამბობ ნეტავი?
რა შუაში აქ ობი?
განა ანკარა ნაკადად
ძალუძს გადიქცეს ქაობი?!..
დღეს შენც გაიძახი აშკარად:
„პროფერანს, ვალსი-დამაო“,
„მარსელიეზას“ მაგივრად—
„ჰარალე-ჩაირამაო!..“
გული მიგმინავს, რაც ჩემთვის
უზენაესი ვალია,
რომ ქვეყნად ყველა სიკეთე
ჩვენთვის მსწრაფლ-წარმავალია!..
ქარი წაიღებს უკანვე,
რაც ქარის მონაბერია;
სოციალისტი ცოტა გვყავს
და შენისთანა—ბევრია!..

**დ. თომაშვილი.**

## სავიჟე-თავები.

ზოგიერთ ადამიანის თავი პაწია სავიჟეს მოგვაგონებთ, სადაც დამწყვდეული აზრები ერთმანეთს აწყდებიან, ყირამალა დგებიან, მწარედ ჰკივიან და ათასნაირ უცნაურ და საშიშარ გიჟობას სჩადიან. ამ გვარი სავიჟე-თავიანება სხვათა შორის გაზეთ „ნოვოე ვრემია“-ს დედაბოძ მწერლებს—სუვორინს, მენშიკოვს და იმათ ამქარს. მათი წერილები ყოველთვის ხელ-ახალი, გიჟური პროექტებითაა სავსე, ისეთ ბრაზიან უაზრობას წარმოადგენენ, რომ წაკითხვის დროს უეჭველად სურვილი მოგივლით რკინის მოაჯირს ამოეფაროთ, რათა ყველა ამეების დამწერი ეცრად თქვენც არ გეტაკოთ და ბდღვინი არ აგადინოთ.

მენშიკოვი, სუვორინი და მათი ამქარი დღევანდელი დროის ერთობის საგულისხმიერო მოვლენანი ბრძანდებიან და ამის გამო საინტერესოა იმათ შინაგან არსებას ცოტათი დავუკვირდეთ და მათი ვითარება გამოვარკვიოთ.

ერთმა გონება-გამჭრიახმა ადამიანმა სთქვა: თუ გსურთ თქვენთვის ჯერ-ჯერობით უცნობი კაცი გაიცნოთ, მასთან საუბარის დროს ჩუმად, მასდა შეუმჩნევლად, იმდენი თითი მოკაკვეთ, რამდენჯერაც იგი თავის ლაპარაკში ნაცვალ-სახელს „მე“-ს იხმარს და გაიმეორებს. შემდეგ ეს მოკაკული თითები ჩამოთვალეთ და თუ ბევრი აღმოჩნდა, იცოდეთ, რომ თავისი თავის განდიდების სენით შეპყრობილი ადამიანი გაგიცვნიათ, ისეთ სულით ავადმყოფ ადამიანთან გაქვთ საქმე, რომელსაც თავისი თავი ქვეყნიერების დედა-ბოძად მიაჩნია, სამყაროს უმთავრეს ღერძად, რომლის ირგვლივ მთელი ქვეყნიერება ბრუნავს.

სუვორინის, მენშიკოვისა და მათი ამქრის წერილების კითხვის დროს თქვენი ხელებისა და ორივე ფეხის თითები არ გეყოფათ მათგან განმეორებით ხმარებულ სიტყვა „მე“-ს საანგარიშოდ და ამისათვის თქვენ მეზობელ ხელ-ფეხს უნდა დაესესხოთ.

საქმე იმაშია, რომ სუვორინსა და კომპანიას ვეება რუსეთის გამგე ოპეკუნებად მოაქვთ თავი, საფრანგეთის მეფე ლუისავით ამბობენ, სახელმწიფო ჩვენა ვართო და ამავე დროს გამჭრიახობა და გონივრული შორს ხედვა არ შესწევთ იმდენად, რომ ეს ვეება სახელმწიფო განაგონ და ისეთი წამალი მოიგონონ, რათა 116 სხვა და სხვა ტომით დასახლებული უსაზღვრო ქვეყანა მაგრა შებოჭონ და თავის ბასრ კლანჭებს ქვეშ მოაქციონ; ამის გამო სუვორინისა და იმის სამინისტროს პროექტებს ნამდვილი გიჟური ხასიათი აქვს, რადგან გიჟები სინამდვილეს მოშორებულნი არიან და მათი აზრები ყოველთვის უნიადაგო ბოდვას წარმოადგენს და სხვას არაფერს.

ვერაგული სახელმწიფო გამჭრიახობის მაგალითს წარმოადგენდა ძველად რომის იმპერიის მთავრობა და ჩვენ დროში გერმანიის შემაერთებელი ბისმარკი. რომის დიადი სახელმწიფოს მმართველნი სხვადა სხვა ზომისა და ღირსების უფლებებს აძლევდენ მათი უსაზღვრო ქვეყნის სივრცეზე დასახლებულ სხვა-და-სხვა უცხო ტომებს, ზოგს მეტსა და ზოგს ნაკლებ ძალას ანიჭებდენ, რათა ამნაირად თავის დამორჩილებულ სხვა-და-სხვა ხალხთა შორის მუდმივი მტრობა-ქიშპობა დაეთესათ, ამნაირად ისინი დაესუსტებიათ და თავისი ძლიერება განემტკიცებიათ. რომის იმპერატორები ზოგჯერ კიდევ ისე იქცეოდნენ, როგორც ჩვენში ხალხის მოძრაობის დროს ერთი ეშმაკი მემამულე მოიქცა, რომელსაც გლეხებმა გამოუცხადეს, შენი მამული ამიერიდან ჩვენ გვეკუთვნისო. მემამულე სიამოვნებით დაეთანხმა, შემდეგ კი ცალ-ცალკე საიდუმლოდ ინახულა იმის სოფელში მოძრაობის მეთაურები და თვითეულს ყურში უთხრა, ჩემი მამული მხოლოდ შენთვის დამითმია, რადგან ყველა დანარჩენები „ხულიგანებად“ მიმაჩნიაო. ამას შედეგად ის მოჰყვა, რომ გემრიელი ლუკმის ხელში ჩასაგდებად მეთაურებმა და მათმა ამქრებმა ერთმანეთს თავები გაუტეხეს და საცილობელი მამული ისევ პატრონს დარჩა.

უნიჭო სუვორინსა და მენშიკოვს იმდენი გამჭრიახი ვერაგობაც არა აქვთ, რომ რუსეთში დასახლებული სხვა-და-სხვა ტომნი ხსენებულ მემამულესავით ერთმანეთს გადაჰკიდონ და თვითონ ბატონობა შეინარჩუნონ. ეს ფუტურო-თავიანი მწერალ პუბლიცისტები პირდაპირ უცხადებენ რუსეთში დასახლებულ უცხო ტომს, ჩვენი მოსისხლე მტრები ხართ და ჩვენ რუსულ სათათბიროში თქვენ წარმომადგენლებს თავის დღეში არ შეუშვებთო.

გარეგნულად დიდი სახელმწიფოს დარღვევის მოახლოვება მაშინ არის ცხადი, როცა იმისი მესვეურნი და მეთაურნი ასეთ უნიადაგო გიჟებს იჩენენ. იმათ სრულებით დაკარგული აქვთ დღევანდელი საქმის ვითარების შეგნება, არა აქვთ გონივრული საზომი რუსეთის დღევანდელ მდგომარეობის ასაწონ-დასაწონად და ნამდვილ გიჟებსავით ყოველ დღე დიდად უბრალო და თან სასაცილო ახალ-ახალ პროექტებს აცხობენ, რომელთა საშუალებით რუსეთი საფრთხეს უნდა გადაარჩინონ.

ყური დაუგდეთ სხვათა შორის მენშიკოვის სავიჟე თავში ამას წინად წამომხტარ შემდეგ პროექტს. რუსეთს ძალასა და დიდებას მხოლოდ მუდმივი ჯარი დაუბრუნებს, ისეთი სალდათი, რომელიც მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში ემსახურება ხელმწიფესა და სამშობლოს და არა ოთხ ხუთ წელიწადს, როგორც ეს დღეს არის წესად შემოღებულიო. მენშიკოვს უნდა ხელმწიფე ნიკოლოოზ პირველის დროდ დააბრუნოს, როცა სალდათად წასული შინ აღარ ბრუნდებოდა და სიკვდილამდის სალდათად უნდა ემსახურნა. რანაირი სალდათის შექმნა შეიძლება ოთხი ან ხუთი წლის განმავლობაში, ამბობს მენშიკოვი: როგორ უნდა დაიცვას ასეთმა გამოუცდელმა სალდათმა მტრებისა და რევოლიუციონერებისაგან ჩვენი დიდებული სამშობლოო?

საბრალო გიჟი პატრიოტი! ბოლოს და ბოლოს ის ფიქრობს, რომ მხოლოდ მასავით სამუდამოდ გონება-გამოლაყებული ადამიანი იხსნის სამშობლოს საფრთხესაგან. ხუთი წლის ყაზარმა ძალიან სჩაგრავს სალდათის გონებას, მაგრამ შეიძლება დღეს ამ გონების ერთი ნაწილი მაინც გადაურჩეს, მენშიკოვი კი სალდათს ოცდახუთი წლის ყაზარმას უმზადებს, რათა ბოლოს ერთი ნამცეცი გონიერებაც აღარ შეანარჩუნოს და ამგვარი საბოლოოდ ჭკუა-გამოლაყებული ადამიანის საშუალებით სამშობლო გადაარჩინოს.

ვიმეორებ: ნამდვილად იხრწნება ის ვეება სახელმწიფო წყობილება, რომლის გზე მეთაურებს არა მოაზრე ადამიანების, არამედ ჭკუა-გამოფიტულ ტიკინების იმედი აქვთ. წამხდარია ისეთ სარდლების საქმე, რომელთაც ხელქვეითად არა მოაზრე მხედარი ჰყავთ, არამედ ისეთი აფიცერი, რომელიც ერთმა სახუმარო ჟურნალმა წარმოგვიდგინა: როცა ჰკითხეს, მემარჯვენე თუ მემარცხენე ბძანდებითო, მსწრაფლ უპასუხა: ყოველთვის ჩემ უფროსს შევყურებ და იმისი ბრძანების დაგვარად მარჯვნივ ან მარცხნივ ვტრიალებო.

**ი. ნაკაშიძე.**

# პროვინციის ცხოვრება

**ს. მეჯვრის ხევი** (გორის მაზრა). როგორც თითქმის ყველგან, მეჯვრის ხევის ვითარების გორკადიც დაწერილია. 1905 წლის მარტიდან აღარ მოქმედებს ჩვენი სკოლა, დაიქსაქსა სამკურნალოს საქმე, სამკითხველოს ამბავი ხომ ზღაპრადაც აღარავის ახსოვს. ჩვენი სკოლა (ორ კლასიანი, სამინისტრო) დაარსებულია 1878 წელს. მეჯვრის ხევის საზოგადოება და ათიოდე კარეში სოფელი რიცხვით 1000 კომლზე მეტი, ამ სკოლაზედ ხარჯავდა 900 მანეთს. აძლევდა საჭირო შეშას. გარდა ამისა ხაზინაც აძლევდა ფულად შემწეობას და ბოლო ხანებში ერთს მასწავლებელს ქალს ხაზინიდან ეძლეოდა 300 მანეთი ჯამაგირი. ნორმალური მსვლელობა ამა სკოლისა შეჩერდა 1905 წლის მარტის თვიდან. მოხსენებულ წელს მეჯვრის ხევის სკოლის საზოგადოებამ ითხოვა, რომ უსახსრობისა გამო ხაზინას ეტვირთა მისი (სკოლის) შენახვა. ეს თხოვნა შემდეგშიაც განმეორდა, მაგრამ არავითარი პასუხი არ არის. სკოლის წყურვილი კი დიდია. აუარებელი ბავშვი რჩება უანბანოდ და ვისაც სწავლის სუნი ცოტათიც არის უუნოსია, დიდათა სწუხს უსკოლობას. მითქმა მოთქმა ბევრია შესახებ გახსნისა, მაგრამ რადგაც შიშია. წელს ფულიც მოიკრიბა მთლად საზოგადოებაში. მაგრამ უცნაურის მიზეზით ამკრეფებმა უკანვე დაუბრუნეს ხალხს.—ვისაც თითო ოროლა შაური აბადია. სდიდობს თავის ბავშვს ანბანი ასწავლოს და აბარებს ერთს აქაურს უმაწვილ ქალს ქ. ჩიკოიძისას, აძლევს თითოზედ თითო მანეთს, მაგრამ გარემოება—ადგილი ნებას არ აძლევს, რომ ოცზედ მეტი იყოლიოს, ისიც შინაურულად და სხვები ღარიბნი შურის თვალით უყურებენ თავიანთ მეზობლების პატარა ბადნებს—„ვგარას შეგირდებს.“ ბავშვები ხომ გვიცდებიან და გვიცდებიან, ეს ამოდენა შენობაც სკოლისა გვითხრდება. უავარი დაუდგა, წვეთი კედლებზედ მუშაობს და კედლებიც ირღვევა. ცოტა ხნის უყურადღებობაც და ეს ამოდენა ნაშრომ-ნადვაწი მთლად დაინგრევა.

ხმების, ვითომ სახალხო ინსპექტორის შვრევოზნიკოვის წარდგენით ეს სკოლა მთავრობას დაეკეტოს და სახაზინო სუბსიდია სხვაგან გადაეტანოს, მაგრამ ჩვენ არა გვჯერა, რადგან ამაზედ მთლად სკოლის საზოგადოების ყრილობა უნდა მომხდარიყო და აქ მარტო მეჯვრის ხევსაც კი არ გაუგია რა. თუ აზრად დახურვა ჰქონდა ვისმეს გულში, აუცილებლად საჭირო იყო საზოგადოებისადმი შეკითხვა. ეს კი არ უთქვიათ.

ასეთსავე ბედ ქვეშ არის ჩვენი სამკურნალო. ვინ იცის, მისი ქონება სად არის დაქსაქსული.

სხვათრივაც მეჯვრის ხევში სანუგეშო არა არის. ჭირნახულის მოსავალი ნაკლებია. ღვინის მოსავალს რაგიანს მოველოდით, მაგრამ აქაც მოგვეშალა ხელი და ჩვენი ნაშრომ ნაღვაწი უბრალოდ გვეკარგება. ვენახები მთლად გვიფუჭდება. ვაზი ხმება, მარცვალი უშავდება და სცვივა. ეს მოვლენა ამ მკათათვეში დაიწყო და თანდათან ყველგან ვრცელდება. ვერ ვგვიხსნია—წამლობა დაგვიგვიანდა (ამ თვის პირველიდან შეუდგა მეჯვრის ხევი მეორედ წამლობას), თუ შაბიამნის ბრალია, ანუ სხვა რამე (ჩვენთვის უცნაური) მიზეზი. საჭიროა მცოდნე ვინმემ გამოიჩინოს აქაური ვენახები და წახდენის მიზეზი გამოგვიკვლიოს.

ამ თვის 15 აქ მოვიდა გორის მაზრის უფროსი ბ. ბაქრაძე. როგორც საქმიდან გამოირკვა, მიზანი მისის მოსვლისა აქაური ქსენონი იყო. აუხსნა ხალხს სარგებლობა ქსენონისა და სთხოვა—კვლავ გაეხსნათ შენახვა (იგი არ მოქმედებს 1905 წლის მარტის თვიდან—როგორც სკოლა). როდესაც ხალხისაგან უარი მიიღო, სთხოვა კომიტეტს ქსენონისას, ქონება მისი აღნუსხონ და გადაუდონ. ვადა აღნუსხვისა ერთი კვირა მისცა. ამ ნაირათ 15 ამ თვეს დაიმარხა ერთი სასარგებლო დაწესებულება მეჯვრისხევისა. შესახებ სკოლისა ბ. უფროსს ლაპარაკი არ გაუგრძელებია და დღეს ამ სკოლის ყოფნა-არ ყოფნა საეჭვოა. სასურველი კია, რომ ამისი ვითარებაც მალე გამოიკვლიოს სწავლის დრო—სექტემბერი, მალე დგება და უნდა იცოდეს საზოგადოებამ გადაწყვეტილი ბედი თვისი უხუცესის და ერთად ერთის პირველის და უკანასკნელის სასარგებლო დაწესებულებისა.

**ვინმე თორელი.**

**სოფ. ბაკურიანი.** 19 მკათათვეს ჩვენც გვეწვიენ სპარსელი ქართველები ხუციშვილი და ონიკაშვილი, რომელთაც გამოუვლიდა ბაკურიანის შტოზედ გზა და გზა გაბნეული მოაგარაკე ქართველები ლექციაზედ დასასწრებლად. ამავე დღეს, პირველ საათზედ, გაიმართა უცლამ-ესეინ ონიკაშვილის ლექცია, რომელსაც თითქმის მთლად დაესწრო ადგილობრივი მოაგარაკე ქართველობა. ლექციის წინ სტუდენტმა ფაღავამ მსმენელნი გააცნო ზოგიერთ ისტორიულ საბუთებს ქართველების გადასახლებაზედ და დ. აღნიაშვილის მოგზაურობა სპარსეთში. ონიკაშვილის დალაგებულმა და ხელოვნურად გადმოცემულმა დიდად საინტერესო ლექციამ შესაფერი შთაბეჭდილება იქონია მსმენელებზედ, რომელთაც ლექტორი დიდის ხნის ტაშის ცემით დააჯილდოვეს.

**ჯავახი.**

# რუსეთი

**ახალი კანონ-პროექტი ქორწინების შესახებ ფინლიანდიაში.** ფინლიანდიის დეპუტატმა-ქალებმა ახალი კანონ-პროექტი შეიტანეს ქორწინების შესახებ. ფინლიანდიის კანონით ცოლის შესართავად ვაჟისათვის საჭიროა, რომ ის 21 წლისა იყოს, გასათხოვარ ქალისათვის კი არა ნაკლებ 15-სა. ახალი კანონ პროექტი თხოულობს, რომ ქალის წლოვანება 15-ის მაგივრად 18 წლით შეიცვალოს და ამ აზრს ასე ასაბუთებენ: 15 წლის ქალი სამხრეთში უკვე მომზადებულია სადედოთ, ფინლიანდიაში კი ამავე ხნის ქალი ჯერ ბავშვია სულიერადაც, გონებრივადაც, ფიზიკურადაც. მას არ შეუძლიან არც ცოლობა და არც დედობა. კანონპროექტით 18 წლისაზე ნაკლებ ქალს გათხოვება შეუძლიან მხოლოდ უმაღლეს ნებართვით.

**საარჩევნო მზადება.** პეტერბურგის სოც. დემ. ორგანიზაციის კონფერენციამ 33 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 30 ხმისა გადაწყვიტა მომავალ არჩევნებში მონაწილეობა მიიღონ.

მოსკოველი კადეტებში მომავალ დეპუტატებად ასახელებენ წინანდელ დეპუტატებს მაკლაკოვს, ტესლენკოს, ჩელნოკოვსა და გოლოვინს.

კიეველი კადეტები ქალ. კიევის დეპუტატად ასახელებენ ცნობილ პროფესორს თავ. ევ. ტრუბეცკოის.

მოსკოველი ოქტომბრისტები დეპუტატებად ასახელებენ გუჩკოვს, ცნობილ ვექილს პლევაკოსა და ერთ ნოქარს. „ჭეშმარიტი რუსები“ იმავე ქალაქიდან ასახელებენ შმაკოვსა და ნაზარევსკის. გრინგმუტი არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებს, რადგან სამართალშია მიცემული მე-129 მუხლის ძალით

**მღვდელი დეპუტატები.** მეორე სათათბიროს ყოფილი მღვდელი დეპუტატები ტიხვინსკი, კოლოკოლნიკოვი და არხიპოვი ანაფორებს იხდიან და უნივერსიტეტებში შედიან სტუდენტებად.

**კადეტთა პარტიული კრება** მას შემდეგ, რაც კადეტებმა სტოლიპინიდან ცივი უარი მიიღეს, ფინლიანდიის გენ. გუბერნატორს სთხოვეს ნებართვა, რომ ფინლიანდიაში მოეხდინათ პარტიული კრება. მაგრამ გენ.-გუბერნატორის თანაშემწე. ზეემანმაც უარი უთხრა. კადეტები ელიან გენ.-გუბერ. გერარდს, რომელიც ამ ჟამად დასასვენებლად არის დათხოვნილი და იმედი აქვთ, რომ გერარდი უარს არ ეტყვის.

**შეთქმულება.** ამას წინად რუსეთის გაზეთებში იუწყებოდნენ, რომ საქმის გამოძიება შეთქმულების შესახებ წინააღმდეგ ხელმწიფისა უკვე დამთავრებულია და ბრალდებულთა საბრალმდებლო ოქმი-

---

...ებს იშვერდნენ მისკენ. ემუდარებოდნენ, სთხოვდნენ რაღაცას... მაგრა რას—ეს არ უნდოდა გაეგო ხალიფს. ესმოდა მხოლოდ კვნესა, მხოლოდ ერთი კვნესა; ხარბად ეწაფებოდა მას და მხოლოდ ეს იყო მისი სურვილი... ხედავდა ხალხთა დანაოჭებულ პირისახის საბრალო გამომეტყველებას, ხედავდა მოხრილ-მოტეხილ, სისხლში მოსვრილ ფიგურას და საბრალოულის ნაცვლად მათდამი მხოლოდ ზიზღსა გრძნობდა...

—არა, ისინი ვერ იმღერებენ!—დამცინავის ღიმილით ამბობდა იგი.

აი, სასახლის კარებიდან გამოიჭრნენ ხალიფის მხედრები... ჰაერში მათრახების სტვენა-შხუილი გაისმა, სისხლმა მდუღარე ნაკადულებივით იწყო დენა. სისხლი ცრემლებს ერთოდა, იღვრებოდა მიწაზე და იკვრებოდა, როგორც შავი ტალახი... მალე მთელი დედა-მიწა აივსო ასეთი ტალახით...

კვლავ აკვნესდა ხალხი. ამ კვნესამ—მძიმე, მწარე კვნესამ შეარხია, აათრთოლა ჰაერი და შეაზმორა, შეარყია ღრუბლები... რაღაც ძალამ ელვასავით დაჰკვესა მათში და ყრუ, შორეული ქუხილი ეხმაურა მათ კვნესას.

ხალიფი დამცინავის გამომეტყველებით უგდებდა ყურს ამ კვნესას.. მაგრამ უცებ ფერი ეცვალა, გაფითრდა. მრისხანედ დაჰკვესა მისმა თვალებმა,—ყურთა-სმენა აევსო წყნარის, წყობრის ჰანგით. ოხვრა-კვნესამ ერთის წუთით გადააჭარბა ამ ჰანგს, მაგრამ კვლავ გარკვევით გაისმა და, როგორც გაალმებულ-გახურებული რკინა, ჩაეჭდო ხალიფს გულ-მკერდში... ესმოდა საუცხოვო ჰანგი, დასაწყისი რომელიდაც ახალისა, უცხო სიმღერისა და ჰგრძნობდა, რომ ყოველი მისი ამოძახილი სჩხვლეტდა, უწყალებდა გულს, სხეულს... თავზარდაცემულს უნდოდა ებრძანებინა შინაყმათათვის, დაეყუნებინეთ აეკრძალათ, შორს, შორს განედევნათ ეს ხმები, მაგრამ ახალმა, წკრიალა მწყობრმა ჰანგმა თითქოს შეჰბოჭა და გააქვავა იგი. სხეულის ვერც ერთი ნაწილის დაძვრა ვერ მოახერხა, ვერ შეძლო, მხოლოდ შიშისაგან განივრად დაჭყეტილი თვალები მიაპყრო იქით, საიდანაც სიმღერა მოისმოდა. სიმღერა თანდათან ცხოველდებოდა... პირველად ნაზი, წყნარი, ძლივს გასაგონი ჰანგები—ეხლა უფრო მძლავრად, მკაფიოდ მოისმოდა, იზრდებოდა, მძლავრდებოდა და თანდათან ახლოვდებოდა. ოხვრა-კვნესა თანდათან სწყდებოდა და ვეღარ ფარავდა საამო ჰანგებს, პირიქით, თვით საამო სიმღერები წუთისწუთ ღვივდებოდა და სპობდა, აყუჩებდა ოხვრა-კვნესას... შავს ღრუბლებს დროგამოშვებით სერავდა ელვის ცეცხლისებური ისრები, და, როგორც საამო ჰანგის მრისხანე მოძახილი, მას დროგამოშვებით ბანს აძლევდა ქუხა-ქუხილი. ჰანგი მატულობდა, გრგვინავდა და მრისხანედ ეჯახებოდა შიშისაგან დაფაჩურებულ ხალიფის ყურებს... როგორც მღელვარე, აზვირთებული ზღვა ელამუნება, ეხეთქება კედლის ნაპრალებს და ჰფარავს ახვევს მათ თავის ტალღებში—ისე მიადუნა, მიაყუჩა და თავის საამო ხმებში ჩაქსოვა ხალხთა კვნესა თავისუფალმა, საამო სიმღერის ჰანგებმა; ბოლოს სიმღერამ მრისხანედ იწყო გრგვინვა, დასჭექა. ის გრიალებდა, ჭექა-ქუხილი კი მოძახილს აძლევდა. ხალიფს სული ეხუთებოდა, სიმღერა ალხობდა. ჰგრძნობდა, რომ მოუახლოვდა უკანასკნელი წამი—ვერ იტანდა ცხოველ-მყოფელ ჰანგებს. მხედარნიც კანკალმა აიტანა, დაავიწყდათ თავიანთი მათრახები, შიშისაგან თავზარდაცემულნი, ანგარიშ-მიუცემლად გარბოდნენ იკრიბებოდნენ და ხალიფისსახლში მომჯადოებელ სიმღერისაგან განცვიფრებული ხალხი მოგროვდა სასახლის წინ... გაფითრებული ხალიფი ძლივსღა სუნთქავდა. თითქოს შველას, პატიებას ითხოვსო—უგრძნობოთ, უაზროდ აცეცებდა თვალებს... უცებ დაინახა ნათელი, ბრწყინვალე გამოხატულება, რომელიც უახლოვდებოდა... საუცხოვო იყო მისი გამომეტყველება, მაგრამ მისი თვალების მრისხანე ტრიალი, მრისხანე გამოხედვა სწვავდა გულ-ღვიძლს, უთუთქავდა და ტანჯვებს უორკეცებდა მას... ამოწვდილის ცეცხლის კვერთხით უახლოვდებოდა ხალიფს. უკვე თავზე წაეწყდა ხალიფს...

—ვინა ხარ შენ?—აკანკალებულის ხმით წაილუღლუღა ხალიფმა.

—მე ვარ—თავისუფლება!—მოისმა მკაცრი პასუხი.

სიმღერა კი დიადი, თავისუფალი, საამო სიმღერა თავს დასტრიალებდა მომაკვდავ ხალიფს, კვნესდა ჰაერში და იფანტებოდა შორს, შორს ციურ სივრცეში... ხალხი მოძახილს აძლევდა, ხოლო მხედარნი თავზარ-დაცემულნი იმალებოდნენ.

უცებ ხალიფის ტანზე აინთო მწვავე ცეცხლი. ხალიფი ჩაიფუფქა... მხოლოდ ერთი ფერფლი-ღა დარჩა ამაყ ხალიფისაგან. გულშემზარავმა ჭექა ქუხილმა და მეხის გრგვინვამ შესძრა, შეარხია და შეათამაშა ჩამოშავებული ღრუბლები. ბრწყინვალე ელვამ გაუტარა მათ გულში ცეცხლის ისრები, და... შეინძრა, შეირყა და ჩამოინგრა სასახლის კედლები, რომელმაც ქვეშ მოიქცია მხედრები...

დიდებულ, ცხოველ-მყოფელ, თავისუფალ სიმღერას კი კვლავ წკრიალი გაჰქონდა ჰაერში, თავისუფლების ამაყი გამოხატულება იდგა ხალხთა წინაშე და თავის ბრწყინვალე სხივებს სტყორცნიდა, აკურებდა, გამარჯვებას ულოცავდა და კურთხევას უძღვნიდა მათ...

**ლ. ღარჩია.**

ბი გადაეცათო. ეს ცნობა მართალი არ ყოფილა. მთავრობამ ცხრა-კლიტულში ჩაკეტა ეს საქმე და მიუვალ საიდუმლოებად გადააქცია. ათიოდე ვექილმა იკისრა ბრალდებულთა დაცვა, მაგრამ დღემდის არ იციან, ვინ და რა ბრალდებისაგან უნდა დაიცვან. იციან მხოლოდ, რომ ბრალმდებლად გამოდის პროკურორი სამხედრო სასამართლოსი პოლკოვნიკი ილიხი და საქმე დაახლოვებით აგვისტოს შუა რიცხვებში გაირჩევა. ბრალდებული 23-ია, 19 ბრალდებულის ვინაობა იციან, 4-სა კი ვერაფერი შეიტყეს.

# დეპეშა

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან
21 ივლისი

## რ უ ს ე თ შ ი.

**სევასტოპოლი.** სემიანოვის სახლი ვიღაც უცნობებმა ქირით დაიჭირეს. ეს სახლი პოლიციამ გაჩხრიკა. ჩხრეკის დროს აფეთქება მოხდა. მოკლულია ბოქაული, უბნის ზედამხედველი და ვახმისტრი. დაჭრილია სახლის პატრონი და ჟანდარმი. სახლის დამქირავებელი მიიმალა.

**ჩიტა.** ორტინის რკინის გზის სადგურზე(?) ნომში სასიკვდილოდ დასჭრეს ჟანდარმის უნტერ-ოფიცერი.

**ტომსკი.** 1 ივლისს მოკლულის სასამართლოს წევრის სენიუტკინის მკვლელი დააპატიმრეს.

**იუზოვკა.** 18 ივლისს რიროკოვსკის რაზიეზდზე ღამის პირველ საათზე მე 6 ნომრის მეარტელეს უცნობნი თავს დაესხნენ. მეარტელე დასჭრეს 4900 მანეთი მოიტაცეს და მიიმალნენ.

**სმოლენსკი,** 16 ივლისს იაროსლავის მაზრაში დაიწვა ნოლოევის ბამბის სართავი ფაბრიკა.

**პერმი.** იქეკაში ბოქაულის თანაშემწის სახლში შეაგდეს ყუმბარა. ყუმბარა არ გასკდარა.

**ლოძი.** ალექსანდროვის ქუჩაზე პარტიულ ნიადაგზე მძიმედ დასჭრეს მუშა.

**ხაბაროვსკი.** 18 ივლისს კრასიტსკის ქუჩაზე ახლად დასახლებულ კაცის ოჯახში მოჰკლეს სამი კაცი და დასჭრეს ორი. ეჭვი სახლის მაშენებელ ჩინელებზე მიიტანეს. ჩინელები მიიმალნენ. დასჭრეს ხელში ტყვია-წამლის სარდაფის მოდარაჯე სალდათი.

**თრითლი.** 17 ივლისს მოკლულ ბოქაულის და იმის თანაშემწის მკვლელნი გადამწერმა იცნო. ერთი მათგანი დაიჭირეს, სხვებს ეძებენ. ყველანი უადგილოდ დარჩენილი მუშები არიან.

**ბელოსტოკი.** სადოვი ქუჩაზე ტყვიით დასჭრეს პოლიციელი.

**ანზაბადი.** პოლიციელების შეტყუილება მოინდომეს იქ, სადაც ჩასაფრებულნი იყვნენ. გადააგდეს რამდენიმე ყუმბარა. მოკლული და დაჭრილი არავინაა. ერთი კაცი დააპატიმრეს.

**ოდესა.** [illegible]

**გორი-ვორზა.** [illegible] 390 მანეთი. უცნობნი დაიმალნენ.

**მოსკოვი.** [illegible]

**ლოძი.** [illegible] 110 მანეთი [illegible]

**უფა.** [illegible] 3 ყუმბარა, 2 [illegible] 25 [illegible]

## უ ც ხ ო ე თ შ ი.

21 ივლისი

**სტამბოლი.** [illegible]

[illegible] 19 ივლისს [illegible] რის ბატალიონი აჯანყდა. საელჩო უბანში რამდენსამე საათს სროლა იყო. კორეელები ისროდნენ თოფს და ტყვიის მფრქვევლებს.

**კოპენჰაგენი.** ლონდონიდან ჰელსინგფორსში მიმავალი სამ იალქნიანი მხუნა «ლუმბარლანდი» დაზიანდა და გელმსლანდსკლიფტის ნაპირზე (დასავლეთი იუტლანდია) გამოირიყა. დაიხრჩნენ კაპიტანი, შტურმანი, მატროსი და მზარეული; დანარჩენი ოთხი კაცი გადაარჩინეს.

**ტანჟერი.** კაზაბლანკში იპოვნეს სამი ფრანგის, სამი იტალიელის და ერთი ესპანელის გვამი. საფრანგეთის მეახალშენი, გარდა საელჩოს მოხელეებისა, ქალაქიდან გავიდნენ.

**მადრიდი.** მთავრობა ზომებს იღებს საფრანგეთთან ერთად, რომ კაზაბლანკში მოკლულ ესპანიის ქვეშევრდომთა საზღაური მოითხოვოს. სამხედრო გემმა ბრძანება მიიღო, მაროკკოსაკენ გაემართოს.

**სეული.** ოფიციალურის ცნობით 19 ივლისის შეტაკების დროს მოკლული და დაჭრილია 60 კორეელი და 40 იაპონელი. 3000 იარაღ აყრილმა კორეელმა ჯარისკაცმა მიიღო ჯამაგირი თითომ 25—80 იენამდე. კორეელმა მაიორმა პაკსუმხუანმა ყაზარმაში დაბრუნების შემდეგ თავი მოიკლა. ამა ამბავმა აღელვება გამოიწვია კორეელ ჯარში. ჯარი იაპონელ ოფიცრებს თავს დაესხა. ერთი ბატალიონი სამხრეთ კორეისკენ გაემართა. მოხდა შეტაკება იაპონელებთან, რომელთაც 3 ოფიცერი მოუკლეს. 100 შეიარაღებული კორეელი მიიმალა. ჯარის დათხოვნის ბრძანებას საბაბად ის უძევს, რომ ახლანდელი ჯარი ნაქირავებია და ქვეყნის დაცვას ვერ შეძლებსო.

**სპეცია.** მახლობელ მონასტერში უზნეო ყოფა-ქცევის გამოაშკარავებამ ანტიკლერიკალური მანიფესტაცია გამოიწვია. 19 ივლისს საღამოთი 1000 კაცი შეიკრიბა და ქალთა მონასტრის აკლება მოინდომა. დაიბარეს კარაბინერები, მაგრამ მათ წინააღმდეგობა გაუწიეს და კარაბინერები იძულებულნი გახდნენ სროლა აეტეხათ. ერთი მანიფესტანტი მოკვდა, მეორე დაიჭრა. ოთხი კარაბინერი ქვით დაშავდა.

**სვინემიუნდე.** 19 ივლისს იახტა «ჰოგენცოლერნი»-თ მოვიდა იმპერატორი ვილჰელმი. 20 ივლისს დილით მოვიდა მთლად გერმანიის ესკადრა (50 გემი), პრინცის ჰენრიხის უფროსობით. იმპერატორმა ესკადრა დაათვალიერა. 21 ივლისს „ჰოგენცოლერნი“ დილის 8 საათზე „შტანდარტის“ დასახვედრად წავიდა. რადგან იმპერატორის შეხვედრაზე ბოლო დრომდე ოფიციალურად არაფერი იყო ნათქვამი, მარტო 20 გაზეთის წარმომადგენელი მოვიდა. გერმანიის ესკადრის დასათვალიერებლად სპეციალური გემები მოდიან.

რედაქტორ-გამომცემელი
**ე. ავალიშვილი.**

# განცხადებანი


**თოფის ქარხანა**

## ი. ფ. პეტროვისა

ვიატსკის გუბ., **იჟევსკი ქარხანა**

ჰყიდის ყოველგვარ სანადირო **თოფს, რევოლვერებს** და ნადირობისთვის საჭირო ნივთებს. თოფი **„ბერდანა“** საფანტისა, 9 მანეთად, კარგია ღარიბ მონადირესათვის. **ცელის** გასალესი მაშინკა, კარგი და გამოსადეგი სოფლის მეურნისათვის, თითო 80 კაპეიკად, ორი შტუკა 1 მან. 50 კაპ., 10 ცალი 6 მან. 50 კაპ., პრეისკურანტი მოთხოვნისათანავე ეგზავნებათ, ვაჭრებს და მაღაზიებს ფას-დაკლებით.

(Метцль и К°. 3280) (6—№ 3.—4)

ტფილისის ქალაქის

## გამგეობა

აცხადებს, რომ 1907 წ. 25 ივლისს, დილის 12 საათისთვის, იმის თანადასწრებით, დანიშნულია ვაჭრობა საქალაქო დაწესებულებებისთვის საჭირო შეშის მოტანაზე.

ვისაც ვაჭრობა სურს, პირობის გაცნობა შეუძლიან გამგეობის 1 განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე (3—6.—3)

ტფილისის კბილის საექიმო

## სკოლა ლ. შტრეიხერისა

(შინაგან საქმეთა სამინისტროს უწყებისა) ერევნის მოედანი (პუშკინის ქუჩის ხრიდან).

თხოვნების მიღება **ორისავე სქესისაგან დაიწყო.** სწავლის კურსი $2^1/_2$ წელიწადი. შესასვლელად საჭიროა მოწმობა ექვსი კლასის გათავების შესახებ. მიღება პირველ, მესამე და მეექვსე სემესტრზე. (100—ბუხ.—28)



მანეთ ნახევარი

## დღეში

**და მეტიც იმ კაცებს და ქალებს,** რომელნიც მოისურვებენ შინ მუშაობას მსწრაფლ სახვევ მაშინაზე. ამ მუშაობას მსურველი ხელათვე შეითვისებს, მოუმზადებლად. მასალას ჩვენ ვაძლევთ და მუშაობაში ნაღდათ უსწორდებით. მანძილი არ უშლის. პირობებს უფასოდ ვატყობინებთ.

ადრესი: ცენტრალური კანტორა, ნიკოლოზის ქუჩა, ს. № 9. (100—210—2)

**მშვენიერი ბაღი ნაჭრებათ დაყოფილი**

## საბურთალოზე

თავ. ხიმშიაშვილისა და მაკაროვის მამულის შუა, 15 წუთის სავალია ქალაქიდან, იყიდება ნაჭრობლივ, თითო ნაწილი 200—300 ოთხკ. საჟენამდის. ფასი 1 მანეთიდამ 2 მანეთამდე. ფულის გადახდა შეიძლება ნაწილ ნაწილადაც. ვინც ნაღდზე იყიდის, იმას რამდენიმე პროცენტი დაეკლება.

**ისყიდება აგრეთვე საბურთალოზე,** მუშტაიდის პირდაპირ, მიწა ნაწილებად დაყოფილი. იკითხეთ წყნეთის ქუჩაზე № 2. **სანდრო მინდიაშვილთან** (2—217—2).

## მასწავლებელთა საყურადღებოთ!

### „არითმეტიკული კრებული“

ხრამელაშვილის შედგენილი 1 ნაწ. 30 კ. მეორე ნაწ. «კრებულისა», (მისივე)—40 კ.

**ქართული წერის დედანი**

ალ. მირინაშვილის შედგენილი 40 კ.

ამ დედანთან სახმარებელი რვეულები I და II №—3 კაპ.

აქვე იყიდება ყოველ გვარი **ქართული წიგნები** და **სკოლებში სახმარებელი ქართულ რუსული სახელმძღვანელოები.**

მსურველს ფას დადებითაც გზეგზავნება მისამართი: Тифлисъ книжн. магазинъ „ЦОДНА“.

მაღაზიის პატრონი **ხოსიკო მერკვილაძე.** (20—193—7)



1—2 მან. აიღებს მსურველი დღეში.

## საჭიროა

**თანამშრომელნი ორისა ვე სქესისა**

საქსოვ სამუშაოსთვის ჩვენ მსწრაფლ-მქსოველ მანქანებზე. რისამე წინდაწინვე ცოდნა საჭირო არ არის. მანძილს მნიშვნელობა არა აქვს. საქონელს ჩვენ თვითონ ვყიდით. პირობებს უფასოდ უგზავნით.

**პირველი კავკას. ამხანაგობა**

მსწრაფლ-მქსოვ მაშინებისა შინაურ წარმოებისთვის.

ადრესი: Тифлисъ, Верійскій спускъ д. 15 и 5. (100—71—49)

# ავადმყოფებს და სუსტებს

## „სპერმატინი“

თუ თქვენ დასუსტებული ხართ ფიზიკურ ან გონებრივ მუშაობით, თუ ჯანი გაიტეხეთ, ნერვები დაისუსტეთ ან ესა თუ ის სენი გჭირთ, **სასოწარკვეთილებას ნუ მიეცემით:** არის „სპერმატინი“. იგი სასურველ შვებას მოგცემთ. მას არ შეიძლება მედიკამენტი ვუწოდოთ, რომელიც ერთ რაიმე ადგილზე მოქმედებს, არა! ეს ნივთიერება სრულიად უვნებელია, იგი ცხოვრების **ესენციაა** იგი **ძალის მომმატებელია.** „სპერმატინი“ მოქმედებს სისხლზე და აახლებს მას, აშურებს რიმავნე ელემენტებს. ჰხვდება რა იქ, სადაც უჯრედები ორგანიზმში რაიმე სენის ან სიბერის გავლენის ქვეშ იმყოფება, „სპერმატინის“ ნაწილები, ჯანმრთელობის დარაჯნი, იწყებენ ნაყოფიერ მუშაობას უჯრედების აღსადგენად, აწვდიან მას ახალ სისხლს და ახალ ძალას და ამით შეძლებას აძლევენ ბრძოლისას როგორც სენთან, ისე ყველაფრის განმანადგურებელ დრო-ჟამთან. **„სპერმატინი“** შედეგია **ბრაუნ-სეკარის** შესანიშნავ აღმოჩენისა. ჰშველის ყველაფერს: **სისხლნაკლებობას, ძალის სისუსტეს სიბერეში, მარაზმს, დაუძლურებულ ნერვიულ სისტემას, მამაკაცის სიუძლურეს, გადაჭარბებულ დაღლილობას გონებრივ და ფიზიკურ მუშაობის დროს,** ონანიზმის შედეგს და წითელ ქარს, სიფილისს, სურავანდს, დამბლას, სქესობრივ მოჭარბებულ ურთიერთობის შედეგს, ხერხემლის ტვინის სატკივარს, ჭლექს, ქარებს, ქრონიკულ მუცლის შეკვრას და სხვას. ეს საშუალება საუკეთესო ნაყოფს იძლევა.

### ავადმყოფთა წერილები.

«**მ. ხ. ბ. ივანოვ!** სიტყვა ვერ გამომიძებნია მადლობის გამოსაცხადებლად თქვენის სასწაულთ-მომქმედ «სპერატინისთვის». 10 წელზე მეტს ვიტანჯებოდი ძალის სისუსტით, გულის ფრიალით, ხველებით, ნერვების დაუძლურებით. იქამდე მივედი, რომ თავის მოკვლა განვიზრახე. ერთ წუთს მოსვენება არა მქონდა, ყველაფერი მაბრაზებდა, სულ მცირე რამეც, ყველაფერზე ვტიროდი „სპერმანის“ ორი ფლაკონის მიღების შემდეგ მხნედ ვიგრძენ თავი, სიმშვიდე მომეფინა, გული და მიმშვიდდა, ძილი და მადა დამიბრუნდა, ერთის სიტყვით—სულ განვახლდი. ყველა ამისთვის გულწრფელად გმადლობთ და ღმერთს ვევედრები თქვენთვის. თქვენი პატივისმცემელი **ნ. ბოსსი.** მოსკოვი, მე-2 მეშჩანსკაია, ს. პოლიაკოვისა, № 11, ბ. № 21. 24 ნოემბერი 1906 წ.».

„**მ. ხ. ბ. ივანოვ!** სიამოვნებით ვაცხადებ, რომ ი. ნ. ივანოვის ლაბორატორიის „სპერმატინმა“ დიდი შვება მოგვცა მე და ჩემ ცოლს ნერვების მოშლისა და ტანჯვის დროს. მოსკოვის ბავშვთა სოფიის საავადმყოფოს მეაფთიაქეს თანაშემწე **ს. კიუმენკერ.** 19 აპრილი 1907 წ.“

„ივანოვის „სპერმანტინის“ ლაბორატორიაში („სპერმინი“). მ. ხ. მე ვიტანჯებოდი დიდი ხნის ბუასილით და ნერვების დაუძლურებით, აგრეთვე მიკანკალებდა ხელები. ვცადე თქვენი „სპერმატინი“ და თუმცა წამლობის დროს გარემოება ხელს არ მიწყობდა, მაინც ვამოწმებ, რომ ჩემზე მან კარგად იმოქმედა: განვახლდი და გამოვკეთდი. გადაწყვიტე ვისარგებლო მეც და ჩემმა ოჯახობამ. იგი საუკეთესო გამამაგრებელი საშუალებაა. პატივისცემით **ს. ნ. ივანოვი.** მოსკოვი, როგოჟსკაია, 3 პერ., ს. ივანოვისა, 1 მაისი 1907 წ.“.

**მ. ხ. ბ. ივანოვ!** მე ვიტანჯებოდი ანემიით და ძალ-ღონის სისუსტით. გადავწყვიტე მესარგებლნა თქვენის „სპერმატინით“. ორის ფლაკონის მიღების შემდეგ უკეთ ვიგრძენ თავი. ვგრძნობ, რომ დაკარგული ენერგია და ღონე მიბრუნდება. გაჰქრა აპატია, მაგრამ კიდევ მსურს განვაგრძო „სპერმატინის“ ხმარება სრულიად მორჩენამდე. გიძღვნით გულწრფელ მადლობას შემწეობისთვის. **მიხეილ პეტრეს ძე გრიგორიევი.**

„სპერმატინი“ განვლილი წლის ბოლომდე ვრცელდებოდა ამ სახელით „სპირმანი“ ნ. ნ. ივანოვისა და ამხ. სახელით, ეხლა-კი, ნ. ნ. ივანოვის სიკვდილის შემდეგ, იგი მზადდება იმის ძმის ი. ნ. ივანოვის ლაბორატორიაში რეცეპტის შეუცვლელად. „სპერმატინ“-მა ნ. ნ. ივანოვისამ, დღეს კი, „სპერმატინმა“ ი. ნ. ივანოვისამ დაიმსახურა აურებელი სამადლობელი წერილი, ოქროს მედალი და უმაღლესი ჯილდო რუსეთში, ლონდონში, პარიზში, ბრიუსელში.

უფრთხილდით სიყალბეს და მიბაძვას. წიგნაკები უფასოდ. ფასი ერთი ფლაკონისა 2 მ. 40 კ. გაგზავნა ერთიდან 4 ფლაკონამდე 40 კ. 5-დან 10-მდე 65 კ. შუა აზიაში ორ-ჯერ ძვირია, აღმოსავლეთ ციმბირში—სამჯერ. გამოწერა შეიძლება ფოსტით, მხოლოდ წინდაწინვე უნდა გამოიგზავნოს ბე ფოსტის მარკებით ან ფულით—მესამედი ფასისა.

**წარმომადგენელი კავკასიისთვის ი. გ. ახობაძე.** ტფილისი, მოსკოვის ქუჩა, ს. გაბაევისა, № 4. (1—212—1)

# ახლად მოწყობილი სტამბა

## „იდეალი“

ელექტრონით მსწრაფლ-მბეჭდავი.

### მიიღება ყოველგვარი

საქმე რუსულ და ქართულ ენაზე.

**ფასები ზომიერია**

ასრულება სუფთად და კოხტად.

ადრესი: ნიკოლოზის ქუჩა, № 6. (სტ. 0—[illegible])

# ფეხსაცმელი



პეტერბურგის სამექანიკო წარმოების ამხანაგობისა,

შეკერილი, რანტიანი და ვინტებზე. შკვიდრი, კოხტა და მსუბუქი ყოველ ფასონისა.

**რანტიანი:** პარიზისა (მოგრძო) და ამერიკის ფასონებისა.

**იყიდება ტფილისსა და ამიერ-კავკასიის მაღაზიებში**

რადგან ხშირად სხვები თავიანთ ცუდ საქონელს ჩვენად აღიარებენ, ფაბრიკა უმორჩილესად სთხოვს ბ-ნთ მყიდველებს ყურადღება მიაქციონ ფაბრიკის ნიშანს და სახელმწიფო გერბს (არწივს)

ФАБРИЧНОЕ КЛЕЙМО
С.ПЕТЕРБУРГЪ.

ნარდად შეკვეთილ ამ ფეხსაცმელს ამზადებს

## სავაჭრო სახლი

## „ლეოპოლდ ნეიშელლერი“

ტელეფონი № 346, **ტფილისში,** ერევნის მოედანი,

**რომლის საწყობშიაც არის დიდი ძალი**

**ტყავის საქონელი** რუსეთისა და საზღვარ-გარედ დამზადებისა. (100—43)